№ 200
ოთხშაბათი, 21 სექტემბერი 1894

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 0 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 200
ოთხშაბათი, 21 სექტემბერი 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

მეუღლე გარდაცვალებულისა ნინო იაგორის ასული კანდელაკისა შვილებითურთ, რძალი ბარბარე გიორგის ასული კანდელაკისა, ძმა იაკობ ზაქარიას ძე კანდელაკი და სიძე დიმიტრი ზურაბის ძე ტატიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა, ნადვორნი სოვეტნიკის მიხეილ ზაქარიას ძის კანდელაკისას. პანაშვიდი გარდახდილ იქნება ახალ-არსენალის ქუჩაზედ, ზაალიშვილის სახლში, № 16, 21 სექტემბეს, საღამოს 5 საათზედ და 22 სექტემბერს, დილის 10 საათზედ, რომლის შემდეგაც მიცვალებულს გაასვენებენ კავკავის გზით ვერის ჯვრამდე, ხოლო იქიდგან მიცვალებულის გვამი წასვენებულ იქმნება სოფ. კავთისხევს დასაკრძალავად.
(1—1729—1)

## ტფილისი, 21 სექტემბერი

—

ჩვენ წინა წერილში („ივერია“ № 198) მოვიხსენიეთ, რომ ფულის შოვნის საჭიროება გაგვიძლიერდა ცალკე იმ მიზეზით, რომ, რაც უწინ შინვე ჩვენში კეთდებოდა, ის ეხლა სასყიდელი გაგვიხდა და ცალკე მით, რომ სახელმწიფო ხარჯი ფულით მოსახმარებელი შეგვექნა.

რადგანაც ჩვენის შეძლების და ეკონომიურ ღონისძიების ერთად-ერთი სახსარი მიწათ-მოქმედებაა, ამიტომაც იგი უნდა მიქცეულიყო იმისთანა საგნებზე, რომელთაც აღებ-მიცემობის ბაზარში შინა, თუ გარედ კარგი გასავალი ჰქონებოდა. ეს მით უფრო შესაძლებელი და მოსახერხებელი იყო ჩვენის ქვეყნისათვის, რომ აქაური მადლიანი ჰავა და ნოყიერი მიწა ბევრ იმისთანა ჭირნახულს ხელს უწყობს, რომელსაც დღევანდელ ბაზარში დიდი მუშტარი ჰყავს და დიდი ფასი აქვს და რომელიც ამ ორის გარემოების შემწეობით უფრო მეტად ახეირებს მოჭირნახულეს, ვიდრე იგი ჭირნახული, რომელიც დღეს მოგვყავს და გაგვაქვს ბაზარში.

სადაც ჩაი, სორგო, ალისარჩული, აბრეშუმი მოდის, საცა ბამბა ხეირობს, საცა ყოველ გვარი ხეხილია შესაძლებელი, საცა ყურძენი მოდის, ღვინო დგება, საცა შესაძლოა გაჩენა თითქმის ყოველ გვარ საზეთე, სამღებრო და საათფთექო მცენარეებისა, იქ მიწისა და ხელის მოცდენა იმისთანა ფას-მოკლე ჭირნახულისათვის, როგორც, მაგალითებრ, პურია, ჩვენის ფიქრით, დიდი შეცდომაა. პურს, თუ უწინ, როცა კარ-ჩაკეტილები ვიყავით, თავისი საბუთი ჰქონდა, ეხლა მისი მოყვანა ჩვენთვის არავითარი ანგარიშია. დღეს, როცა საქვეყნოდ კარი გაგვეღო, როცა ამისთანა სწრაფი გზებია, როგორც რკინის გზა და ზღვისა, როცა შესაძლოა თითქმის ორის კვირის განმავლობაში თუნდა ამერიკიდამ მოვიტანოთ ჩვენი სამყოფი პური,—რუსეთს აღარ ვიტყვით,—უფრო იეფად და უფრო კარგიც, ნუ თუ სახეიროა ჩვენი მარჯვენა, მშვენიერი ჰავა და მიწა პურზე მოვაცდინოთ, მაშინ როდესაც ჩვენის ქვეყნის ბუნება ნებას გვაძლევს უფრო ძვირფასი ჭირნახული მოვიყვანოთ იმავე შრომით, გარჯით, იმავე ჰავითა და მიწით.

ჩვენ რომ ამ გზას დავდგომოდით, ან დღეის იქით დავადგეთ, ჩვენ საქვეყნო, თუ სამეზობლო ბაზარში ჩვენს ძვირფასს ჭირნახულს გავიტანდით და იქიდამ იმ საჭირო ჭირნახულს შემოვიტანდით, რომელიც ამ გზით უფრო იეფად დაგვიჯდებოდა, ვიდრე ეხლა გვიჯდება, როცა ჩვენვე მოგვყავს შინ. მაგალითებრ, წელს ოდესსაში პური ფუთი თითქმის 26 კაპეიკად იყიდებოდა. ნუთუ ოდესსიდამ პურის მოტანა ამ ფასად უფრო სახეირო არ იქნებოდა ჩვენის ქვეყნისათვის, რომელსაც, თუ რიგიანად ვიანგარიშეთ, შინაური პური ერთიორად ამაზე მეტი უჯდება, რაც გინდ ნაკლები ვიანგარიშოთ. თუმცა იშვიათი ამბავია ჩვენში, რომ ჩვენი შინაური პური ფუთი სამოთხ აბაზზე ნაკლები იყოს, მაგრამ მაინც მოჭირნახულეს ბევრს არას აძლევს გამოსარჩენსა და ამ გზით მის ჯიბეს ბევრი არა ემატება რა.

სულ სხვა იქნებოდა, რომ ჩვენ რუსეთში შეგვეტანა იგი ჭირნახული, რომელიც, რუსეთის ჰავასა და მიწის მიზეზით, იქ არ მოდის და სხვა ქვეყნებიდამ შემოაქვთ, და რუსეთიდამ პური გვეზიდნა. ამ შემთხვევაში გამორჩენა დიდი იქნებოდა: ჯერ ერთი ესა, რომ ჩვენი სასყიდელი უფრო იეფად დაგვიჯდებოდა და მერე, ჩვენი გასასყიდი უფრო მეტს ხეირს მოგვცემდა, უფრო მეტს ამოიღებდა. ანუ უკედ ვსთქვათ, ის გარჯა, ის ჰავა და მიწა, რასაც ეხლა იეფად სასყიდ ჭირნახულს ვახმარებთ, რომ უფრო ძვირფასს რასმე მოვახმაროთ, ორგზით მოგებაში ვიქნებით.

ამ ეკონომიურ გზაზე ჩვენი საქართველო რომ დადგეს, ჩვენმა მიწათ მოქმედებამ რომ ეს ახალი გზა და მიმართულება ირჩიოს, რუსეთისათვის ის ამზადოს, რაც რუსეთს არა აქვს და იქიდამ ის ჰზიდოს, რაც რუსეთს ვერც-კი გაუსაღებია,—სახელმწიფო ინტერესის თვალითაც-კი მეტად სახეიროა თვით რუსეთისათვისაც, რომელიც თავისს ნამეტანის პურისათვის ბევრგან სხვაგან ეძებს ბაზარსა მაშინ, როდესაც ერთი ამისთანა ბაზარი სხვათა შორის საქართველოც შეიქმნება და თვით საქართველოც მატებაში შევა, რადგანაც ამ გზით აქაურ მკვიდრთა ქონება გაუძლიერდება.

ვიდრე მთავრობა საქართველოს და ერთობ ამიერ კავკასიას არ შეხედავს იმ თვალით, რომ აქ მიწათ-მოქმედებას სხვა გზა და მიმართულება უნდა მიეცეს მის ჰავისა და მიწის შესაფერი, ვიდრე თვისს მეცადინეობას იმაზე არ მიაქცევს, რომ ახალი საჭირნახულო საგანი გაუჩინოს აქაურ მიწათ-მოქმედებას, იმ დრომდე უველაფერი ფეხზე დადებული მალამო იქნება, მაშინ როდე აც სატკივარი თავზეა.

ბ-ნი მინისტრი მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მობრძანდება აქ ქვეყნის ვითარების შესატყობად და მეტად სანატრელია, რომ ჩვენზე უფრო მცოდნე კაცთა ეს განსხვავებული გარემოება აქაურ ქვეყნისა უფრო მეტის საბუთით წარუდგინოს და ამის საშველის სარჩიელი გამოურკვიოს. აქაური სამეურნეო საზოგადოება, როგორცა სჩანს მის განაჩენიდამ, ჩვენდა სასიამოვნოდ ამ საშველის სარჩიელზე დამდგარა. სჩანს ამ პატივცემულს საზოგადოებასაც იგი საჭიროება დაუნახავს, რაც ჩვენ აქ მოკლედ მოვიხსენიეთ.

## დეპეშა

19 სექტემბერი

**პეტერბურგი.** 18 სექტემბერს მათნი იმპერატორებითნი უმაღლესობანი მემკვიდრე ცესარევიჩი, დიდნი მთავარნი გიორგი და მიხეილ ალექსანდრეს ძენი, დიდი მთავრინა ოლღა ალექსანდრეს ასული და საბერძნეთის მეფის შვილი ნიკოლოზი ყირიმში წავიდნენ.

## ახალი ამბავი

—

*** გუშინ, 20 სექტემბერს, ტფილისის პოლიცმეისტერს დეპეშით აცნობეს, რომ მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონება თამინისტრი ა. ს. ერმოლოვი საგანგებო მატარებლით ჭიათურაში წავიდა შავი-ქვის მადნების დასათვალიერებლადაო.

*** მიწათ-მოქმედებისა და სახელეწიფო ქონებათა მინსტრის რწმუნებულის თავ-მჯდომარეობით ტფილისში შემდგარი კომისია, რომელშიაც აგრეთვე მონაწილეობას იღებენ მთავარმართებლისა და ფინანსთა, იუსტიციისა და სამხედრო სამინიტროების წარმომადგენელნიც, ამ მოკლე ხანში დაამთავრებს თავისს შედგენას სახელმწიფო გლეხთა მიწათ-მფლობელობის შესახებ დებულების პროექტისას. ეს დებულება შეეხება როგორც სახელმწიფო მიწაზედ დასახლებულთ, ისე კერძო მამულებში

## ფელეტონი

—

**ტყიბულის აუ-კარგიანობა**

ქვის-ნახშირის მადნები.—ნაქერალის გზა-ტკეცილი.—ბაზრობის დამტკიცება და კურთხევა.—თლილი ქვის ეკკლესია.—ახალი მღვდელი და ფოსტის საჭიროება.

წრევანდელ „ივერიის“ მე-70 №-ში გვქონდა ნათქვამი, რომ ხაზინას სამასი ათასი მანეთი აქვს გადადებული ბ-ნ ნოვოსელსკის ქვის-ნახშირის მადნის სამუშაოდ მოსაწყობად და წელს ამ მადანში „ბრიკეტის“ ქარხანაც ჰსურთ ააშენონო. ეხლა შეგვიძლიან მკითხველს ვაუწყოთ, რომ ის ჩვენ მიერ მოწერილი ამბავი კიდეც გამართლდა და სიტყვა საქმედ იქცა. წარსულ ივნისის თვეში აქ მოვიდა პეტერბურგიდგან მთა-მადნის ინსტიტუტის ადიუნქტი ბ-ნი ნ. კოცოვსკი, რომელიც შარშანაც იყო აქ და რომელსაც მინდობილი აქვს ბ-ნ ნოვოსელსკის მადნის სამუშაოდ მოწყობა და უმთავრესად „ბრიკეტის“ და სხვა საჭირო ქარხნების აშენება. ბ-ნი კოცოვსკი მოვიდა აქ და მადანში მუშაობაც გაცხარდა. ყოველ დღე ათასამდე კაცი ჰმუშაობს აქ სხვა-და-სხვა ნაწილში: ზოგი მღვიმე მაღაროში ნახშირს სტეხავს და ამზადებს, ზოგი მუშათათვის სადგომ სახლებს აკეთებს და ზოგიც „ბრიკეტის“ ქარხნის შენობას აშენებს და სხ. და სხ. ერთის სიტყვით, აქ დიდი მოძრაობა-საქმიანობაა და, როგორც ამბობენ, წელს ნოემბრამდის დამთავრდება ბრიკეტის ქარხანის შენობის მოწყობა და დეკემბრიდგან მადანი სრულიად მზად იქნება საწარმოებლად. ღმერთმა ინებოს!

ეხლა ორიოდე სიტყვა მეაქციონერთა საზოგადოების ქვის ნახშირის მადნის შესახებ. როგორც გავიგეთ, აქციონერთა საზოგადოებას და ბ-ნ ნოვოსელსკის მოლაპარაკება ჰქონიათ მადნების შეერთებისა და საქმის ერთად წარმოების შესახებ, მაგრამ როგორღაც ვერ მორიგებულან და ისევ თვის-თვისად დარჩნენ ორნივე. კარგი-კი იქნებოდა, ღვთის წინაშე, რომ შეერთებულიყვნენ და შეერთებულის ძ ლ ღონით ემოქმედნათ. რადგან მადნების შეერთება ვერ მოხერხდა, ბ-ნ ნოვოსელსკის მადნის სამუშაოდ მოწყობა და მისი წარმოება, როგორც ზემოდ ვსთქვით, სახაზინო ხარჯით სწარმოებს; ხოლო მეაქციონერნი, როგორც დღემდე მუშაობდნენ, ისევე განაგრძობენ დღესაც მადნის წარმოებას ძ ჯერ-ჯერობით არავითარს ახალს ხარჯს არ ეწევიან მადნის საფუძვლიანად მოსაწყობად. ნეტა რას უყურებენ ეს დ ლოცვილები და რად შესცქერიან გულხელ დაკრეფილნი თავიანთ მეტოქე მემადნეს? თუ მართლა მეაქციეებს სიკეთე ჰსურთ თავიანთთვისა და ქვეყნისთვის, დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ მადნის მოწყობას, დიდის მხნეობით უნდა შეებრძოლნენ საქმეს და ერთხელვე დაწყებული ასეთი დიდი საქმე სასირცხვილოდ-კი არ უნდა დასტოვონ შუა გზაზედ, არამედ კეთილად უნდა დააგვირგვინონ, რაც უნდა ხარჯი მოუვიდეთ. იქნება მეაქციონერეთ აქვთ კიდეც გადაწყვეტილი მადნის მოწყობა და დროს უცდიან. ნათქვამია: „წინა კაცი უკანასი ხიდიაო“. და ვინ იცის ეგებ ამიტომაც იყოს, რომ მეაქციეები ჯერ-ჯერობით ვერა ჰბედავენ ხარჯის გაწევას მადნის მოსაწყობად, ვიდრე ბ-ნ ნოვოსელსკის მადანში არ დაინახავენ მაშინების ტრიალს და ბრიკეტის ქარხნის სარგებლობას.

ასეთი წინ დახედულობაც ჰკუაა, მაგრამ ისიც ეჭვს გარეშეა, რომ ბრიკეტის ქარხანა უმთავრესი ძარღვია და მასულდგმულებელი მანანა აქაური ქვის ნახშირის მემადნეთათვის. მაშასადამე, მეაქციეები რამდენ დღესაც დააგვიანებენ მადანში ბრიკეტის ქარხნის აშენებას, იმდენ ას წითელ თუმანს გადისვრიან წყალში. ადამიანს სული უწუხს და გული უსკდება, როცა ჰხედავს, რომ მეაქციეების ერთ მესამედ სიმდიდრეს წყალი მიაქანებს შავის ზღვისაკენ. ჩვენ ვამბობთ იმ ერთ მესამედ ნახშირის სიმდიდრეზედ, რომელიც მღვიმე-მაღაროდან გამოაქვთ და, რომლის 40% დაფშხვნილობის გამო წყალში იყრება და იკარგება. ასეთი გულ-გრილობა და უზრუნველობა ამ საკეთილო და საშვილიშვილო საქმის ფეხზედ დასაყენებლად სწორედ საკვირველი, მეაქციონერების და ამ საზოგადოების დამაარსებლების მხრივ. ზემოდ ვსთქვით, რომ დაფშხვნილ ნახშირს წყალში ჰყრიან და მდინარეს მიაქვსო. თუ იმ მოძულებულ ნახშირს, რომელსაც მდინარე მიაქანებს ქვემოდ, ვინმე გაუბედა, დაიჭირა და ამოიღო თავისთვის მოსახმარად, ვაი მისი ბრალი, შავს დღეს დააყენებენ, ერთი კენჭიც რომ წაჰგლიჯოს მდინარეს და მოიხმაროს. ეხვეწებით: „თქვენთვის ხომ სულ ერთია, თუნდა წყალს წაუღია და თუნდა მე მომიხმარია თქვენ მიერ წყალში გადაყრილი ხალხის სიმდიდრეო“. ამაზე მოგიგებენ: „ეს მართალია, მაგრამ მაინც ვერ მოგცემთო“ და სრული უფლებაცა აქვთ ასე მოიქცნენ. ხოლო აქ-კი მართლდება ერთი ქართული ანდაზა, ერთის ცხოვლის შესახებ ნათქვამი, რომ „არც თითონ სჭამა და არც სხვას აჭამაო“.

შარშანდელ „ივერიის“ 142 №-ში

მცხოვრებთ.

*** ის კომისია, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მინისტრის ამხანაგის სიპიაგინის თავმჯდომარეობით არის შემდგარი და აზრად აქვს გაამუშკობესოს ციმბირსა და სხვა განაპირა ადგილებში გადასახლების საქმე, კავკასიის მთავარ-მართებლის წინადადებით, ამ შემოდგომაზედ განიხილავს უპირველესად იმ საკითხავს, თუ რამდენად სასურველია რუსებით იქმნას დასახლებული ზოგიერთი მაჰმადიანთა ბაქოს გუბერნიის, ყუბის მაზრისა და აგრეთვე იმიერ კასპის მხარისა და სპარსეთის საზღვართან მდებარე სოფლები.

*** მის იმპერატორებითი უდიდებულესობის იმპერატრიცა მარიამის კანცელარიის უმთავრესი გამგე გენერალ ლეიტენანტი პროტასოვ-ბახმეტევი გუშინ 20 სექტემბერს დილის მატარებლით ბათუმს წავიდა.

*** ხუთშაბათს 22 სექტემბერს საბჭოს მიერ ამორჩეულ სასწავლებლების კომისიის სხდომაა დანიშნული.

*** კავკასიის რკინის გზის უფროსის თანაშემწის ინჟენერ კორშის მკვლელის გარშენინის საქმე, რომელსაც სამხედრო სასამართლომ ჩამორჩობა გადაუწყვიტა, გუშინ, 20 სექტემბერს, უმთავრეს სამხედრო სასამართლოში გაგზავნეს გასარჩევად.

*** ამას წინად ტფილისში ჩამოვიდნენ რამდენიმე ქართველნი მაჰმადიანნი, რომელთა შორის რამდენიმე მოლა და ერთი ხოჯაც ერია. ამათ ნახეს ტფილისის ზოგიერთი ეკკლესიები და რამდენიმე ქართველნი მღვდელნი. ერთ ხუთშაბათს საღამოს ლოცვას დაესწრნენ მამა დავითის ეკკლესიაში, როდესაც გალობა ქართულად იყო. ხოჯას და ხალხს ძალიან მოეწონათ ქართული გალობა. მგალობელთა ახლოს მივიდა ხოჯა და წიგნებში დაუწყო ცქერა. დიდად მოეწონათ აგრეთვე მამადავითის ეკკლესია და მხატვრობა.

*** გურიაში ბ-ნ ზ. ჭიჭინაძეს შეუკრებია 500-მდე საბუთის ქაღალდი ბატონ-ყმობისა, თავად-აზნაურობის შთამომავლობისა, სამღვდელოთა, ხელოსანთა, ადგილ-მამულის შესახებ და აგრეთვე ზოგიერთი ქართველ მეფის წერილებიც ქართულად ნაწერი. ეს მასალა დღეს „წერა-კითხვის საზოგადოებას“ აქვს.

*** მომზადებულია დასაბეჭდად რომანი ლავრენტი არდაზიანისა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ მეორე გამოცემა. პირველი 1886 წ. დაიბეჭდა. მეორე გამოცემას თან მისდევს რომანის გარჩევა, რომელიც „იმედში“ იყო დაბეჭდილი და ბიოგრაფია მწერლისა.

*** ზოგიერთ სასოფლო სკოლისთვის წელს ,,ბუნების კარი'' აღარ დაუბარებიათ. ამის გამომასწავლებლები დიდად გაჭირვებულნი არიან და არ იციან, რა აკითხონ ბავშვებს შემდეგს წლებში.

*** ერზერუმიდგან გუშინ დეპეშით იუწყებოდნენ, რომ სომხეთა ას ოჯახობამდე, რომელნიცა სცხოვრობენ აზიის ოსმალეთში უთხოვნიათ რუსეთის ელჩისთვის: ნება მოგვეცი კავკასიაში გადავესახლდეთო. ელჩს ამათი თხოვნა დეპეშით უცნობებია გარეშე საქმეთა მინისტრის გირსისთვის პეტერბურგში, საიდგანაც პასუხი ჯერ არ მოსულა.

*** ზუგდიდი: ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის ნება-რთვით, 15 სექტემბერს თავადის დადიანის თავმჯდომარეობით საგანგებო კრება იყო ზუგდიდის თავად-აზნაურობისა მათ უფლებათა საქმის განსახილველად. კრებამ გადასწყვიტა: სთხოვოს ქუთაისის თავად-აზნაურობის წინამძღოლს, იშუამდგომლოს უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ რაიმე ღონისძიება იქმნას მიღებული და თავად-აზნაურობა დაემტკიცოთ იმათ, რომელთაც საჭირო საბუთები არ აღმოაჩნდათ. გარდა ამისა, სთხოვოს მთავრობას დაარსებულ იქმნას ქუთაისში განყოფილება სინოდის კანტორისა, რათა უფრო ადვილად და მალე შეიძლებოდეს წლოვანების მოწმობათა მიღება.

*** ცხინვალი. 6 აგვისტოს ვიღაც ბოროტ მომქმედმა ნავთ გადასხმულ ფიცრებსა და პურით სავსე ბეღელს ცეცხლი წაუკიდა, მეთორმეტე საათზედ უცებ აიწია ალმა და მთლად ბეღელი ალში გაახვია. ეს ფიცრები და ბეღელიც ეკუთვნოდა ნიკო ქარსანაშვილს.

*** სურები. (გურია), 19 სექტემ. სურებში მცხოვრებმა ივანე ბერიშვილმა აჰკიდა საპალნე ცხენს, ზედ დასვა თავისი შვილის-შვილი 13 წლისა და გაისტუმრა ტყიდგან სახლისკენ. ეს ყმაწვილი უნდა გასულიყო მდ. სუფსას გაღმა. მდინარემდის მშვიდობიანად მიდიოდა, მაგრამ როცა ცხენმა შუა წყლამდის მიაღწია, ფეხი წაჰკრა ქვას და საპალნე წყალში ჩაჰყარა. ზედ მჯდომი ყმაწვილი საპალნეს ქვეშ მოექცა და დაირჩო. გვამი წყალს წაეღო, მაგრამ მალე იპოვნეს.

*** გორის მაზრის, სურამის განყოფილების სოფ. ჩუმათელეთში ამ დღეებში ფილოქსერა აღმოაჩინეს. ეს მეორე შემთხვევაა, ამბობს „ნოვ. ობოზ.“-ი გორის მაზრაში ფილოქსერის აღმოჩენისა: პირველად, ამ ერთის წლის წინად, დ. ცხინვალში აღმოჩნდა ფილოქსერა.

*** „ტფ. ლისტ.“-ის სიტყვით, იოკიმ გარშენინს, რომელმაც კავკასიის რკინის გზის უფროსის თანაშემწე პ. ვ. კორში მოჰკლა და ზლოტნიცკის მოკვლა განიზრახა, რისთვისაც კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, საპელაციო საჩივარი შეუტანია უმთავრესს სამხედრო სასამართლოში.

—

**შეცდომის გასწორება.** ჩვენ გუშინდელს გაზეთში ი. ლ. გორემიკინი შეცდომით დასახელებულია იუსტიციის მინისტრად, იგი, მინისტრი კი არა, გამგეჯგნის ნაწილის მმართველია და მინისტრის ამხანაგად ითვლება.

## დ ა მ ა კ ვ ი რ დ ი

—

ღვთაებრივი მხოლოდ ის არის, რაც გონიერია.

კანტი

**

სალამურში მარტო ჩაბერვა-კი არ კმარა—საჭიროა თითების სმარჯვეც იცოდეს დამკვრელმა.

გეტე

**

სრული კაცი მხოლოდ ის არის, ვისაც სხვებზედ ცოტა ნაკლულევანება აქვს.

ჟ. ჟ. რუსსო

## კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ც ი ა

—

**ლეჩხუმი.** სვანეთში, ამ ჩვენის ქვეყნის მივიწყებულ კუთხეში, ბევრს ადგილს გამოდის ისეთი სამკურნალო წყლები, რომელნიც ღირსებითა და მარგებლობით თუ წინ არ გაუსწრებენ, უკან მაინც არ ჩამორჩებიან იმ სახელ დამსახურებულ სამკურნალო წყლებს, რომელნიც დანარჩენ ჩვენის ქვეყნის მხარეებში მოიპოვებიან. მაგრამ, სამწუხაროდ ეს მშვენიერი და დიდად მარგებელი სამკურნალო წყაროები ისე უპატრონოდ არის მიტოვებული, რომ არა თუ ვინმე სარგებლობს, გარდა ადგილობრივ მკვიდრთა, სახელიც არავის გაუგონია მათი.

სვანეთის ზემოხსენებულ თვისების წყაროებთ შორის ამ ჟამად უფრო ცნობილი და გამოჩენილია ეგრედ წოდებული „მოაბის“ მჟავე, და რკინის წყაროები. ამ წყლებზედ მრავალი ხალხი მოდის ზაფხულობით და ბევრგვარ ავადმყოფობასაც შველის. ზემოხსენებული წყაროები და ადგილი, სადაც გამოდის ეს წყლები შეადგენს სამეგრელოს თავადის ნიკოლოოზის კუთვნილებას. სასმელი მჟავე წყალი ამოქუხს საკმაოდ ვრცელს ვაკე-მინდორზედ და ძალიან უხვადაც ამოდის დედამიწის პირიდამ. ეს ადგილი თითქო საგანგებოდ გალავან შემოვლებულია, შემოზღუდულია დიდრონის ნაძვნარით და სხვა მრავალ გვარ მცენარეთა მიერ შემდგარის ხშირის ტყით. ადამიანის თვალსა და ყნოსვას ატკბობს იქ ური ბუნება და ჰაერი. საპანებელი რკინის წყალი-კი გამოდის ზემოხსენებულ მჟავე წყალზედ, ორი თუ სამი ვერსის მანძილზე დაშორებით, ზემოთ ტყით დაბურულს ადგილში. ეს ალაგი ძლიერ ფერდობია და ვიწროც ასე რომ კაცს ფეხის მოკიდება უჭირდება.

ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ რომ მოაბის მადნის წყლები უფრო ცნობილი და გამოჩენილია დანარჩენ სვანეთის ამ გვარ თვისების წყლებზედ და უფრო ბევრი მუშტარი ჰყავს ყოველ წლობით-მეთქი, დიახ ეს ნამდვილი ჭეშმარიტებაა, მაგრამ ამასთან ისიც უნდა ვსთქვათ რომ ეს წყლებიც ისე უყურადღებოთ არის დაგდებული, რომ იმის ცოტაც არის მოწყობისა და რიგიანად მომართვის შესახებ რომ ვისმეს ეზრუნოს იმის კვალსაც ვერა ნახავთ, ამ წყლებზედ გარდა იმისა, რაც თვით ბუნებას მიუნიჭებია. კაცის გონების ნამოქმედარი არა არის-რა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თითონ პატრონი ამ ჩინებულის მადნის წყლებისა თავადი ნიკოლოოზი მიაქცევს ყურადღებას და მოაწყობს ისე, რომ ავადმყოფთაც შეეძლოთ ისარგებლონ ამ მიყრუებულის ქვეყნის ბუნების სიმდიდრით. ასეთს საგანზედ დახარჯული ფული დიდის სარგებლით დაუბრუნდება პატრონს და გარდა ამისა მთელის ჩვენის ქვეყნისთვის დიდის სიკეთის გაწევა იქნება ასეთი საქმე.

ქაიხოსრო გელოვანი

—

**თელავი.** 14 სექტემბერს ალავერდის დღეობა იყო. წირვასა და სადილს შემდეგ ხალხი სოფლებში, რასაკვირველია, კახურის ღვინით გახურებული ჰბრუნდებოდა. სხვათა შორის მოდიოდნენ თ. მაყაშვილები შინ თავიანთის ოჯახებით. გზაზე. თ. კოლა მაყაშვილი შევიდა თავის ერთს ვენახში ქალებისთვის ყურძნის გამოსატანად. იქ დახვდა მემამულე დარჩო მარტიროზოვი, რომელსაც დიდძალი სტუმრები ჰყავდა, ნამეტნავად ქალები.

მიიპატიჟეს თ. კოლა მაყაშვილი და გააბეს თურმე ლაპარაკი. ამ დროს ბაღიდგან გამოვიდა დარჩოს შვილი თოფით და დაიძახა ეს ვიღა მოთრეულაო? თ. მაყაშვილმა ვერ მოითმინა თურმე და სილა გაარტყა. ასტყდა ერი ალიაქოთი, ამ ალიაქოთში, ამოაძრეს თ. მაყაშვილს ხანჯალი. ამ, დროს საფანტით გატენილი თოფიც გავარდა. ოთხიოდე საფანტი მოხვდა ბეჭებში თ. მაყაშვილს და რამდენიმეც ვიღაცა მარტიროზოვის სტუმარს. ეს სამი დღეა თ. მაყაშვილი წევს ლოგინში.

საკვირველი ის არის, რომ ადმინისტრაციას აქამდე არაფერი ზრუნვა არ გაუწევია ამ საქმისათვის, არც

---

გვქონდა ნათქვამი, რომ აქ მოვიდნენ ტფილისიდგან ბ-ნი ნ. ნიკოლაძე და გ. ლოლობერიძე, რომელთაც ჰქონდათ მინდობილი მეაქციეთა საზოგადოების მიერ იმათ მამულში მცხოვრებთ დროებით ვალდებულ გლეხთ 25 კომლის ქასრაშვილების განთავისუფლება და იმათის ადგილის გამოკრება საზოგადოების მამულიდგან. საზოგადოება გლეხებს აძლევდა იმ 60 ქცევა ადგილში, რომელიც გლეხებს აქვთ ქვის ნახშირაში, ხუთი ათას მანეთს და 530 ქცევა მიწას სხვა ადგილას. გლეხები-კი თხოულობენ 15 ათას მანეთს და იმ 530 ქცევა მიწას, რომელსაც საზოგადოება აძლევდა, რადგანაც იმ 530 ქცევა მიწის სამიმესამედი მწირი და მოუსავლიანია. ბ-ნ ნიკოლაძის და ლოლობერიძის მეცადინეობით მორიგება ჩამოვარდა გლეხებსა და საზოგადოების შორის. საზოგადოებას პირობის ძალით ამა წლის თებერვლამდის უნდა ჩაებარებინა გლეხებისათვის ხუთი ათასი მანეთი და ის 530 ქცევა მიწა, რის შემდეგაც გლეხები დასთმობდნენ თავიანთს კუთვნილს 60 ქცევა ადგილს ქვის ნახშირაში და გადავიდოდნენ ახალს ბინაზედ. მაგრამ საზოგადოებამ, რაღაც მიზეზის და ანგარიშის გამო ზემოხსენებული 530 ქცევა მიწა ვერ დაუმტკიცა და ვერ ჩააბარა გლეხებს ვადამდე, რის გამოც გლეხებმაც პირობა დარღვეულად აღიარეს და ეხლა, ხუთის ათასის მანეთის მაგიერ, 25 ათას მანეთს სთხოვენ და იმ 530 ქცევა მიწაზედაც ხელს იღებენ. გლეხების ასეთ საქციელის გამო საზოგადოება, რასაკვირველია, ცუდ გუნებაზედ იქნება, ხოლო გლეხების სიხარულს საზღვარი არა აქვს: „კინაღამ არ მოვღორდით, მადლობა ღმერთს, რომ საზოგადოებამ პირობა ვერ შეგვისრულა ვადამდე, ეხლა არც ჩვენ გვსურს იმ პირობით ჩვენის ადგილის შეხსნაო; თუ უნდათ 25 ათასი მანეთი მოგვცენ და სრულიად თავს დავანებებთ და შევახსნით ჩვენს ადგილსაო, თუ არა-და, რამდენიც დრო წავა, იმდენი უფრო მეტს მოვსთხოვთ ჩვენს ადგილშიო, ამბობენ გლეხები.

ღვთის წინაშე, არც ცუდად იქცევიან და არც გასამტყუნარია გლეხების მოქმედება. რისთვის შეუშალეს პირობა პატივცემულმა ვაჭრებმა და რისთვის არ გაისტუმრეს ესენი დროზედ? „რაც მოგივა, დავითაო, ისევ შენის თავითაო“, ნათქვამია, და მართალიც არის ეს ანდაზა. ეხლა მეაქციებმა ერთი ორად მეტი ფული უნდა გადიხადონ გლეხების დასაკმაყოფილებლად და თუ კიდევ დროზე არ გაისტუმრეს, შემდეგ ვინ იცის ეგებ გლეხებმა კიდევ მოუმატონ და 25 ათასის მანეთის მაგიერ 50 ათასი მანეთი მოსთხოვონ, მაშინ ხომ უფრო გაძნელდა გლეხების განთავისუფლების საქმე? გლეხების ვადაზე გაუსტუმრებლობა, როგორც გავიგეთ, მეაქციეთა საზოგადოების წარმომადგენელის ბ-ნ ა. წურინოვის პოლიტიკის ბრალი ყოფილა, რომელსაც, რასაკვირველია, საზოგადოებისათვის სიკეთე ჰსურდა, მაგრამ, როგორც ჰხედავთ, ერთი-სამად-კი აზარალა საზოგადოება თავისს დიპლომატობით. როცა ასეთს დიდს საქმეს ჰკიდებს კაცი ხელს, როგორიც არის მეაქციეთა საზოგადოების საქმე, მაშინ ორგროშიანი და უალაგო ეკონომიის ხმარება, ჩვენის ფიქრით, ზარალის მეტს ვერაფერს სარგებლობას შესძენს პატრონს.

გარდა ზემოხსენებულის ამბისა, ტყიბულში წელს ბევრი კარგი საქმე განხორციელდა. მაგალითად, ის დიდის ხნის სურვილი და ნატვრა მთელის რაჭის და ქუთაისის მაზრის მცხოვრებლებისა, რომ ნაქერალის მთაზე გზა-ტკეცილი ყოფილიყო გაყვანილი, წელს გვისრულდება. ნაქერალის წვერიდგან გზა-ტკეცილის კეთება უკვე დაიწყეს ამ ზაფხულს და 8 ვერსი გზა კიდეც გააკეთეს, გარდა ხიდებისა და ხრეშის მოყრისა. ამბობენ, მომავალ წლისთვის სრულიად მზად იქნებაო. ეს გზა, რომლის სიგრძე ნაქერალის წვერიდგან ტყიბულამდე 15 ვერსია, ნაქერალის მთის მარცხენა კალთაზეა გაყვანილი და ისე ლამაზად მიიკლაკნება ნაქერალის მთის სათიბ მინდვრებზედ, რომ მისი ნახვა სწორედ საუცხოვო სურათს წარმოადგენს ტყიბულის ჰალებიდგან; ხოლო უფრო გასაოცარი და საკვირველი სურათი მაშინ წარმოგიდგებათ თვალ-წინ, როცა ნაქერალის წვერიდგან მოდიხართ ახალის გზით და თითქმის ოთხასის საჟენის სიმაღლიდგან დასცქერით ათას ფრად ამწვანებულს ტყიბულის ჰალებსა და გორაკებს. ნაქერალის გზა-ტკეცილი ისე მშვენივრად და ვაკედ კეთდება, რომ არა გვგონია კიდევ სადმე იყოს ასეთი საუცხოვო გზა ჩვენს ქვეყანაში, საქართველოს სამხედრო გზის გარდა ამ გზისათვის ქვის ტეხა მუშაობა და საჭირო ალაგას ქვითკირის კედლის გაკეთება იჯარით აქვს აღებული 21 ათას მანეთად ინჟენერ-ტეხნოლოგს ბ-ნ ლევ როზენშტეინს, რომელიც როგორც ეტყობა, საქმის მცოდნე და პატიოსანი კაცია. ამ კაცს ჯერჯერობით საქმე კარგად მიჰყავს და მუშებსაც ყველას დროზე ეძლევათ ნამუშევარი ფული.

დანარჩენი საქმეები ამ გზისა, როგორც, მაგალითად: ხიდების კეთება და ხრეშის მოყრა, ეხლა გაიცემა

ოქმი შეუდგენიათ და არც დაჭრილნი შეუმოწმებიათ.

ს. მ.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

პეტერბურგის ჟურნალ „Образованiе“-ს უკანასკნელ წიგნში დაბეჭდილია ცნობილის პედაგოგის ვარენიუსის. წერილი, რომელშიაც იგი შეეხება იმ საკითხავს, რა მდგომარეობაშია ამ ჟამად მოსკოვის პირველ-დაწყებითი სკოლებში სასანიტარო ზედამხედველობა. ეხლანდელ დროშიო, ამბობს ვარენიუსი:

როდესაც იმისთვისა ვზრუნავთ, რომ ბავშვები გონებით განვითარდნენ, იმათის ჯან-მრთელობისათვისაც უნდა ვიზრუნოთო. დასავლეთ ქვეყნებში, არამც თუ ესმით ჯანმრთელობის მნიშვნელობა, არამედ საქმითაც მხნედ სცდილობენ იმის განვრცობას. პირველ დაწყებითი სასწავლებელში იმის ზრუნვაში არიან, რომ ბავშვი სწავლის დროს მშიერი არ იყოს, სასწავლებელში ჯეროვნად ნაცმულ-დახურული დადიოდნენ, რაიმე სნეულება არ გაავრცელოს და ან თითონ არ გახდეს ავად. ამის გამო სასწავლებლის საქმეში საგანგებო სანიტარები—ექიმები იღებენ მონაწილეობასა და ხშირად ისეთსაც იწვევენ ხოლმე, რომელთაც სასწავლებლის ჰიგიენა საგანგებოდ აქვთ შესწავლილი.

ამას დასძენს ვარენიუსი, რომ მოსკოვის ქალაქის საბჭო უხრალოდ ჰხარჯავს ფულებს რაღაც „გიმნასტიკისათვის,“ რომელიც ამათ გართობაა და სხვა არა-რა.ისა სჯობიან, რომ ამ ფულით გასართობი მინდვრები გამართოს და ამ მინდვრების მოწყობილებანი შეიძინოს. ამას უფრო ამჯობინებენ პედაგოგები, რომელთაც ყმაწვილების აღზრდის საქმე კარგად იციანო.

# რუსეთი

ამ დღეებში პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ფრიად საყურადღებო ბრძანება გასცა ყველა სასწავლებლის მმართველობას. ამ ბრძანებით მზრუნველი ავალებს ყველა სასწავლებლის უფროსებს, რომ თუ რომელიმე მოწაფემ სამოსწავლო წლის უკანასკნელ თვეებში ცუდად დაიწყო სწავლა, უთუოდ უნდა მზრუნველს აცნობონო. ამასთანავე მასწავლებელმა აუცილებლად უნდა აუხსნას მზრუნველს, თუ რა მიზეზის გამო დაუსვა ცუდი ნიშანი სწავლისა. ეს ბრძანება, ძალიან კარგია იმ მხრივ, რომ მასწავლებელიც პასუხს აგებს თავისის მოქმედებისათვის. ამას გარდა, იგი მოსწავლეებსაც გაამხნევებს და გაამხნევებს და გააბეჯითებს.

—

განსაკუთრებულმა კრებამ, რომელიც შემდგარი იყო რკინის გზის საკომერციო სამსახურის უფროსებისაგან, და რომელიც აგვისტოს დასასრულს გზათა სამინისტროთან შესდგა, სხვათა შორის იმ გარემოებასაც მიაქცია ყურადღება რომ, თუმცა რკინის გზის მმართველობანი ყოველს ღონის-ძიებასა ჰხმარობენ, რომ ხალხი უბილეთოდ არ მიდი-მოდიოდესო, მგზავრების უბილეთოდ სიარული მაინც ყველგან არის გავრცელებული. ამასთანავე მგზავრები თვით კონდუქტორებს ურიგდებიან იაფად მგზავრობას. ამისთანა ბოროტ მოქმედებათა თავიდგან ასაცილებლად, კრებამ გარდასწყვიტა რკინის გზებზედ ზედამხედველობა გააძლიეროს. დანიშნონ ახალი ზედამხედველები, რომელთაც წლიწადში ათას ხუთას მანეთზედ ნაკლები ჯამაგირი არ ექმნებათ, იმ ანგარიშით, რომ ერთი ზედამხედველი თვალ-ყურს ადევნებდეს ორს ორთქლმავალს სამასის ვერსის მანძილზედ.

—

გაზეთებში დაბეჭდილი იყო, რომ მთავრობას განზრახვა აქვს ამ მიმდინარე წელს 300 ელევატორი ააგოს რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებშიო. ამის მიხედვით, სიმბირსკის საგუბერნიო ერობა სცდილობს იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ უსარგებლოდ დაეთმოს თანხა სიმბირსკის გუბერნიის სხვა-და-სხვა ადგილებში ელევატორების გასაკეთებლად.

—

შინაგან საქმეთა მინისტრი ი. ნ. დურნოვო პეტერბურგს ოქტომბრის გასვლამდის არ დაბრუნდება.

## პროექტი ახალის წესდებისა სურსათის მხრივ ხალხის უზრუნველყოფისათვის

—

შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე დაამთავრა პროექტი წესდებისა სურსათის მხრივ ხალხის უზრუნველყოფისათვის, დაუგზავნა სხვა უწყებათ, რათა მათ წარმოსთქვან თავიანთი აზრი ამ პროექტის შესახებ და შემდეგ, ამავე თვეში, წარუგენს სახელმწიფო საბჭოს.

რუსეთის გაზეთებში დაბეჭდილია ამ წესდების უმთავრესნი მუხლნი:

1) სურსათის მხრივ ხალხის უზრუნველ-ყოფისათვის მიღებულ უნდა იქმნას შემდეგი ღონისძიება: შეიკრიბოს სათადარიგოდ ხორბალი, ანუ ნაღდი ფული; შეკრებილ იქმნას ფული, რომელიც უნდა გაეცეს სესხად, თუ ვინიცობაა სათადარიგოდ შეკრებილი ხორბალი ყველა გაჭირვებულთ არ გასწვდა და გაიყიდოს პური დაკლებულ ფასად.

2) მოუსავლობის დროს დახმარების თხოვნა შეუძლიანთ: სასოფლო საზოგადოების ყველა წევრს, რომელსაც-კი ადგილ-მამული აქვს; ყველა იმათ, ვინც ხვნა-თესვას მისდევს თავისს საკუთარ, ანუ იჯარით აღებულ ადგილ-მამულში, იმ პირობით-კი, რომ რაოდენობა ამ ფულისა არ აღემატებოდეს რაოდენობას იმ მამულისას, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ადგილობრივ გლეხის ოჯახს. ხოლო გარდაწყვეტა ამ საქმისა უნდა მიენდოთ საგუბერნიო საკრებულოთ, რომელნიც დაარსებულ იქმნებიან ზემოხსენებულ პროექტის ძალით და ეს გარდაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს ხოლმე შინაგან საქმეთა მინისტრს.

3) ყველა ზემოხსენებულნი მოვალენი არიან მონაწილეობა მიიღონ სათადარიგო თანხის დაარსებაში. თითოეულ საზოგადოებაში შეიკრიბოს პური ან ფული თვით ამ საზოგადოების წევრთათვის დასახმარებლად; ხოლო მათ, ვინც სასოფლო საზოგადოების წევრად არ ითვლება, უნდა შეიტანონ ეს გარდასახადი სამაზრო თანხის დასაარსებლად და ამ თანხიდგან დახმარება აღმოუჩინონ ხოლმე იმ წევრთ, რომელნიც სასოფლო საზოგადოებათ არ ეკუთვნიან.

4) რათა უფრო ადვილი იყოს მართვა სურსათის მხრივ ხალხის უზრუნველ-ყოფის საქმისა, დაარსებულ უნდა იქმნას თითოეულ საზოგადოებაში თითო ცალკე განყოფილება და ან მთელი საზოგადოება დანაწილებულ უნდა იქმნსა რამდენსამე განყოფილებათ, რომელშიაც, ადგილობრივ პირობათა მიუხედავად, უნდა დაარსდეს ერთი, ანუ რამდენიმე მაღაზია პურის შესანახად.

5) თითოეულს განყოფილებაში სურსათის მხრივ ხალხის უზრუნველყოფის საქმეს განაგებს თითოეული მზრუნველი. თუ მთელს სასოფლო საზოგადოებაში მხოლოდ ერთი განყოფილებაა, მაშინ ამ განყოფილების მზრუნველად უნდა იქმნას სასოფლო საზოგადოების მამასახლისი. ხოლო თუ სასოფლო საზოგადოება რამდენსამე ნაწილად იქმნება დაყოფილი, მაშინ სამაზრო საკრებულო მზრუნველად ირჩევს რომელსამე ადგილობრივ მემამულეს ანუ გლეხს, მიუხედავად იმისა, აქვს მას რომელიმე თანამდებობა სასოფლო სამმართველოში, თუ არა. მეტად დიდის მოუსავლობის დროს, როცა გაჭირვებულთა რიცხვი მეტად დიდია და ძლიერ ბევრს უჭირს თავის გამოკვება და სათესლე ხორბალი, სამაზრო საკრებულოთ ნება ეძლევათ, ადგილობრივ პირობათა მიხედვით, დაჰყონ მთელი საზოგადოება მომეტებულ ნაწილად და თითოეულ განყოფილებაში დაჰნიშნონ მზრუნველად ადგილობრივი მღვდელი, ან სხვა ვინმე მკვიდრი და ყოვლად სანდო კაცი. ამ დროებით დანიშნულ მზრუნველების მოვალეობაა: თვალ-ყური ადევნონ, რომ სამართლიანად იქმნეს გაცემული მცხოვრებთა შორის სესხი, ან გაჭირვებულთათვის დარიგებული ფული, რომელიც უკან აღარ გამოერთმევათ. ამავე დროებით დანიშნულ მზრუნველთა მოვალეობაა განიხილონ და შეამოწმონ ხოლმე სია გაჭირვებულთა და საზოგადოდ ყოველ გვარი ღონისძიება იღონონ, რომ გაჭირვებულთათვის აღმოჩენილმა დახმარებამ ამაოდ არ ჩაიაროს და მართლა სასარგებლოდ გამოადგეთ. თუ როგორ უნდა მოიქცნენ ამ გვარ შემთხვევაში დროებით არჩეულნი მზრუნველნი და რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ ადგილობრივ მთავრობასთან, რომელმაც უნდა განაგოს სურსათის მხრივ უზრუნველყოფის საქმე, მოხსენებული იქმნება ცალკე ინსტრუქციებში, რომლებსაც დაამტკიცებს ადგილობრივი საგუბერნიო საკრებულო, სურსათის მხრივ უზრუნველყოფისათვის დაარსებული.

6) საზოგადოდ სურსათის მხრივ ხალხის უზრუნველყოფის საქმის მართვა ჩაჰბარდება შინაგან საქმეთა მინისტრს და შინაგან საქმეთა სამინისტროში განზრახულ საბჭოს. ადგილობრივ წესდების უნაკლულოდ და რიგიანად აღსრულებას თვალყური უნდა ადევნონ და განაგონ სურსათის მხრივ ხალხის უზრუნველყოფის საქმე: გენერალ-გუბერნატორებმა და გუბერნატორებმა თავიანთს გუბერნიებში, საგანგებოდ ამ საქმისათვის დაარსებულ საგუბერნიო და სამაზრო საკრებულოებმა და მაზრის უფროსებმა, თითოეულ განყოფილების მზრუნველებმა და აგრეთვე სასოფლო საზოგადოებათა და სოფლის მოხელეებმა. თვალყურის გდება სურსათის მხრივ ხალხის უზრუნველყოფისათვის გარდასახადის შეკრებისა და მართვა ამ საქმისა ქალაქის იმ მცხოვრებთა შორის, რომელნიც მეურნეობას მისდევენ, უნდა დაეკისროს სამოქალაქო მმართველობას. სურსათის მხრივ უზრუნველყოფისათვის დასაარსებელ საბჭოში იქმნებიან: თავმჯდომარედ—შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწე, წევრებად—დირექტორი სამეურნეო დეპარტამენტისა, დირექტორი უმთავრეს სასტატისტიკო კომიტეტისა, შინაგან საქმეთა საერობო განყოფილების მთავარ-მმართველი, დირექტორები ფინანსთა სამინისტროს დეპარტამენტებისა: გაწერილ გარდასახადისა, სამანუფაქტურო, სავაჭრო და სარკინისგზო საქმეთა, სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სამეურნეო და სასოფლო-მეურნეობის დეპარტამენტის დირექტორი და სურსათის მხრივ ხალხის უზრუნველ ყოფისათვის დაარსებულ განყოფილების მმართველი.

---

იჯარით. სულ ამ 15 ვერსი გზის გაკეთება დაჯდება 70 ათას მანეთამდე, გარდა მიწის ნაწილის მუშაობისა, რომლის გასაკეთებლად გამოყვანილია სოფლის ხალხი ტყიბულისა და ლიკოთ-წმინდის საბოქაულოდან და ამ მიწის მუშაობას, როგორც ამბობენ, ამ მოკლე ხანში კიდეც გაათავებენ.—ეჭვი არ არის, ეს გზა დიდს სარგებლობას მოუტანს მთელს რაჭისა, ქუთაისისა და შორაპნის მაზრის მცხოვრებლებს და განსაკუთრებით ტყიბულელებს.

გარდა ამ სანატრელის გზის გაყვანისა, აი კიდევ რა შეეძინა წელს ტყიბულას: მას აქეთ, რაც ტყიბულში რკინის გზის შტო გაიყვანეს ქუთაისიდგან, მადნებში მუშაობა დაიწყო, და მცხოვრებლების რიცხვმა იმატა, ბაზრობის დაარსებაც საჭირო შეიქმნა. ამის გამო მცხოვრებლებმა და მედუქნეებმა ითხოვეს, ვისთანაც ჯერ იყო, ტყიბულში ბაზრობის დაარსება, ადგილობრივ ბოქაულის ბ ნ მ. აბულაძის შუამდგომლობით მთავრობამ წელს კიდეც შეიწყნარა ტყიბულელების თხოვნა და წარსულს 17 ივლისს დიდის ამბით აკურთხეს აქ ბაზრობა და საბაზრო დღეთ პარასკევი დანიშნეს. კურთხევას დაესწრო სამი ათასამდე ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებლები, ქუთაისის მაზრის მმართველი ბ-ნი სოკოლსკი, ადგილობრივი ბოქაული მ. აბულაძე და მრავალი საპატიო სტუმარი, ქუთაისიდგან მოსული. ბლაღოჩინმა-მღვდელმა მამა სირბილაძემ და ადგილობრივმა მღვდელმა გრიგოლ მიკაუტაძემ წირვის შემდეგ ლიტანიით შემოიარეს და აკურთხეს საბაზრო ადგილი; ლიტანიის დროს აუარებელი ხალხი მიზდევდა მღვდლებს. როცა მღვდლებმა კურთხევა გაათავეს, მაზრის მმართველმა ბ-ნმა სოკოლსკიმ სიტყვა სთქვა საზოგადოების წინაშე და ნათლად და გაგებით აუხსნა თუ რა სარგებლობა მოაქვს ბაზრობას მცხოვრებთათვის და აგრეთვე რა დიდი და საქებური მერმისი მოელის ტყიბულს და იმის ახლო-მახლო მცხოვრებლებს. შემდეგ ამისა სტუმრებისათვის სადილი იყო გამართული მედუქნეების ხარჯით და სადილმა მეტად მხიარულად და მშვიდობიანად ჩაიარა.

შარშან გაზ. «ივერიაში“ გვქონდა მოხსენებული, რომ ტყიბულის მცხოვრებლებს გადაწყვეტილი აქვთ 12 ათას მანეთიანი თლილის ქვის ეკკლესიის აგებაო. ამ კეთილს და საშვილიშვილო საქმეს შარშანვე ჩაუყარეს საძირკველი ტყიბულელებმა და წელს ამ ღვთის სადიდებელის ტაძრის კედლები უკვე ერთ საჟენ ნახევარზე მეტი აიყვანეს და პირობის ძალით ეს მშვენიერს გეგმაზე დაწყებული შენობა სამის წლის განმავლობაში სრულიად მზად უნდა იყოს და, 12 ათასი მანეთი-კი არა, 25 ათასი მანეთი ჯდება.

ახალს ეკკლესიას ახალი მღვდელიც გაუჩნდა წინა მორბედად. მამა ზაქარია ბოჭორიშვილმა, რომელმაც ორი ათას მანეთამდე შესწირა ახალ ეკკლესიის ასაშენებლად, მოხუცებულობის გამო თავი დაანება სამსახურს და ადგილი დაუცალა ახალგაზდა მღვდელს გრიგოლ მიკაუტაძეს, რომელსაც ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში აქვს სწავლა დამთავრებული. იმედია, ეს ახალგაზდა მღვდელი, გარდა ამისა, რომ უფრო მხნედ ემსახურება თავისს მრევლს და განამტკიცებს ქრისტეს მოძღვრებას, ყოველს ღონეს იხმარებს და მისდამი რწმუნებულ მრევლის გულში დასთესავს სწავლის დიდს წყურვილს და ახალ ეკკლესიის გვერდში ერთ-კლასიან სკოლის დაარსებას მაინც მოანდომინებს და მოახერხებინებს აქაურ მკვიდრთ თავიანთ შვილების წერა კითხვის შესასწავლად.

ამდენ წარმატებასთან და სიკეთესთან ტყიბულს ერთი უსაჭიროესი მოხერხებულობა აკლია, ეს არის ფოსტის კანტორის უქონლობა. სწორედ დიდ გასაჭირში არიან აქაური მხცოვრებლები და განსაკუთრებით ქვის ნახშირის მემადნეები ფოსტის განყოფილების უქონლობის გამო. წერილები და გაზეთები ხშირად იკარგება და არც საკვირველია, რადგანაც კონდუქტორები, რომელსაც მადლის გულისათვის მოაქთ უსასყიდლოდ კვირაში ერთხელ, ხან ორხელ კორესპონდენცია, სულაც არ არიან ვალდებულნი გაზეთები და წერილები გვიზიდონ. ამ საჭირო დაწესებულების დასაარსებლად, როგორც გვახსოვს, შარშან თხოვნა გჰაგზავნეს მემადნეებმა და ტყიბულელებმა ადგილობრივ ბოქაულის ბ-ნ მ. აბულაძის შუამდგომლობით, სადაც ჯერ იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, აგერ რამდენი ხანი გავიდა თხოვნის გაგზავნის შემდეგ და ჯერ არავითარი განკარგულება არ ისმის ფოსტის დაარსებას შესახებ, თუმცა-ღა მთხოვნელებმა ფოსტის სადგურისათვის სახლის ქირაც იკისრეს და, ვგონებთ, ფულიც შეიტანეს ფოსტის კანტორისათვის საჭირო მოწყობილობის შესაძენად. მივაქცევთ ამ საგანს იმათ ყურადღებას, ვისაც ამ საჭირო დაწესებულების გამართვა ექვემდებარება ტყიბულში და იმედი გვაქვს, ამ მოკლე ხანში მაინც განხორციელდება აქაურების დიდი ხნის სურვილი და ნატვრა.

ვ. მასხულია

# უცხოეთი

**გერმანია.** საფრანგეთის სამხედრო კორესპონდენტი აღტაცებულია გერმანიის ჯარის წყობილობითა და სიმარჯვით. კორესპონდენტი დასწრებია ორის კორპუსის ბრძოლას, რომელნიც ერთი მეორეზედ მიდიოდნენ იერიშით. არც ერთი ამ ჯართაგანი არ სთვლიდა საჭიროდ მტრისათვის დაეცადა და გამაგრებულიყო. ახლანდელი დევიზი გერმანიის ჯარისა, ამბობს კორესპონდენტი, არისო: წინ და სულ წინ ისწრაფოს, რაც გინდ დაბრკოლება და მსხვერპლი დაგხვდესთო, ესე იგი სატევს წესს ადგას და არა საგერსაო.

—

ამას წინად თავადის ბისმარკის პატივისცემელნი, რიცხვით ორიათასამდე, ესტუმრნენ ამ ერთხელ ევროპაში ყოვლის შემძლებელ კაცს, რომელიც ამ ჟამად სოფელში სცხოვრობს.

თავადი ბისმარკი შესამჩნევად მოხუცებულა, მაგრამ იმისი მაღალი ტანი ჯერაც არ მოხრილა და ისევ ძველებურად ამაყი გამომეტყველება აქვს. შვილები, შვილიშვილები, და იმისი ავადმყოფი მეუღლეც-კი, რომელსაც თავისი სისუსტეც ძნელად აუტანია, თვალ-გაფაციცებულნი შესცქერიან თითოეულს იმის ნაბიჯს, თითოეულს იმის სიტყვას. არ შორდება აგრეთვე ერთს წამს ბისმარკს ექიმი შვენინგერიც, რომელიც დარაჯივით ნიადაგ თან ახლავს და რომელსაც თავადის სამხედრო წამოსასხამი მკლავზედ ჰქონდა თურმე გადაგდებული, მანამდე ბისმარკი თავისს სტუმრებს ემუსაიფებოდა.

—

**აღმოსავლეთის ომი.** იაპონია სასტიკად და უზომოდ აღჭურვილა, რადგანაც აზრადა აქვს პეკინისკენ გაისტუმროს ჯარები. ასე არიან დარწმუნებულნი აქაურ მთავრობასთან დაახლოვებული წრეები. მაგრამ იქნება იაპონიას სულ სხვა აზრი ჰქონდეს. იქნება იმას უნდა, რომ კორეა გაავსოს თავისის ჯარებითა, მთელის კორეს ნახევარი კუნძული ხელში ჩაიგდოს და სამუდამოდ შეუერთოს თავისს სამფლობელოს.

„Times“-ი თავისს მეთაურში აქებს ინგლისის მთავრობის თავაზიან საქციელს, იაპონიის შესახებ. ამ გვარის მოქმედებით, მერე იმ დროს, როდესაც იაპონიას ჯერ ჩინელები არ დაემარცხებინა, ინგლისმა სწორედ თავის დროზედ დაუმტკიცა იაპონიას თავისი მეგობრობა და ზნეობრივი დახმარება აღმოუჩინაო. ამიტომაც, ინგლისს სრული უფლება აქვს იფიქროს, რომ იაპონიას დიდი ნდობა და რწმენა ექმნება იმისიო. «Times»-ს ჰსურს, რომ ინგლისი და იაპონია უფრო დაუმეგობრდნენ და დაუკავშირდნენ ერთმანეთს. «ჩვენ მოვალენი ვართო, ამბობს ლონდონის გაზეთი, მხარი მივსცეთ იაპონიასა და თუ სხვა სახელმწიფოები ჩაერევიან იაპონელებისა და ჩინელების ბრძოლაში, მარტო იმიტომ, რომ იაპონიას ხელი შეუშალონ თავისის გამარჯვების ნაყოფით დასტკბეს,—ჩვენ ყოველისავე ღონისძიებით უნდა გავუწიოთ წინააღმდეგობა იმათს სურვილსაო».

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

**Положеніе о размежеваніи Закавказскаго края съ поясненіями и позднѣйшими узаконеніями.** Составилъ К. В. Долговъ, членъ Тиф. суд. палаты по межевой части.

ყველამ კარგად უწყის, რა მდგომარეობაშია ჩვენში გამიჯვნის საქმე. დღესაც მთელი დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო დრტვინავს და ჰშფოთავს გაუმიჯვნელობისა, მამულების გამოურკვევლობის გამო და მამა შვილისა, ძმა ძმის წინააღმდეგ არის ამხედრებული. ხშირად მკვიდრ და ღვიძლ ნათესავთა შორის უსიამოვნებას გამოიწვევს ხოლმე ისეთი უბრალო გარემოება, რომელიც კანონს გამორკვეული აქვს და რომელსაც ყველა ადვილად აიცილებდა თავიდგან, ცნობა, გაგება და ცოდნა რომ ჰქონოდა კანონისა.

ამიტომ არ შეგვიძლიან სიამოვნებით არ მივეგებნეთ ტფილისის სამოსამართლო პალატის გამმიჯვნელ ნაწილის წევრის, ბ-ნ კ. ვ. დოლგოვის მიერ გამოცემულ წიგნს, რომლის სახელიც ზემოდ ამოვწერეთ და რომელიც ქართულად ასე იქნება: «დებულება ამიერ-კავკასიის გამიჯვნის შესახებ, განმარტებული და ბოლო დროის კანონ-დებულებით შევსებული“. ამ წიგნში შემდგენელს შეუტანია ყოველივე ის კანონი, რაც-კი გამიჯვნის საქმეს შეეხება. მაგალითებრ, ამ წიგნში შეხვდებით ასეთ ყოვლად სასარგებლო და გამოსადეგ ცნობებს: ამიერ-კავკასიის მხრის გამიჯვნისა, გამმიჯვნელ დაწესებულებათა გამიჯვნის წარმოებისა, გამიჯვნის საქმეთა სასამართლოში წარმართვისა, გამიჯვნის ზომა-ნიშნების, გამიჯვნის სიგელებისა, ამ საქმის ხარჯისა, გამმიჯვნელ უწყების მოხელეთა სამსახურისა და სხვათა შესახებ.

დამატებანში შემდგენელს არავითარი წვრილმანი არ დაუტოვებია, რომელიც-კი ამ გამიჯვნის საქმის დაბოლოვებას ხელს უწყობს და უმართავს. მაგალითებრ, მოაქვს ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიწეროს რწმუნების წერილი, გეგმათა წესდების ზოგიერთი ადგილი აქვს გადმობეჭდილი, ჩართულია ნიხრი გეგმის ასლისა, ხარჯი გამიჯვნისა, შენიშვნები ადგილობრივ ზომისა და წელთა აღრიცხვისა, ცნობები, რა საბუთის ქაღალდებს ერთმევა გერბის გარდასახადი, ნათესაობის მაჩვენებელი ნუსხა და სხ. დაბეჭდილია ფიცის ფურცელიც-კი ოთხს ენაზედ რუსულსა, ქართულსა, სომხურსა და თათრულზედ. ამას დასძენს, სხვათა შორის, ფრიად საყურადღებო უმაღლესად 1864 წელს 12 მაისს დამტკიცებულს წესებს იმერეთისა და გურიის თავადთა და აზნაურთა შორის ქონებრივ უფლების განსაზღვრის შესახებ.

ერთის სიტყვით, ეს წიგნი სახელმძღვანელოა და დიდად გამოსადეგი და საუცხოოდ შედგენილი სახელმძღვანელოც, რადგან შემდგენელს, დიდს მცოდნეს ამ საქმისას, არავითარი წვრილმანი არ დაუტოვებია შიგ ჩაურთველი. მრავალი კანონი განმარტებულია და დამაგალითებულიც არის სასამართლოს ამა თუ იმ გარდაწყვეტილებანით. დიდად სამწუხაროა მხოლოდ, რომ რუსულის არ მცოდნენი ვერ ისარგებლებენ ამ წიგნით და ვერ გამოიყენებენ შიგ ჩართულს ძვირფასს ცნობებს. ეს წიგნი მეორე გამოცემაა, გასწორებული და შევსებული. რამდენადაც გვახსოვს, შემდგენელს პირველ გამოცემის დაბეჭდვის დროს ამ რამდენისამე წლის წინად განზრახული ჰქონდა მისი ქართულს ენაზედაც დასტამბვა და არ ვიცით, რად არ განახორციელა ეს სასარგებლო განზრახვა.

წიგნი პატარა ზომისაა, ლამაზად გამოცემული, 328 გვერდს შეიცავს და ჰღირს სულ 1 მან. 50 კაპ., ხოლო გაგზავნით 1 მან. 70 კაპ., რაც ფრიად იაფი ფასია ასეთის წიგნისათვის.

ა.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

ბავშვების რაზმი ისპანიის მეფისა გადაყვანილ იქმნა მადრიდში, რათა მეფესთან ახლო იმყოფებოდეს. ამ რამდენსამე ხნის წინად ეს პატარა რაზმი სანსებასტიანოში, მეფის სასახლის წინ იდგა სადარაჯოდ. ყმაწვილმა მეფემ, ალფონს მე-XIII, ბძანება მისცა, რომ იმის „პატარა ამხანაგებს“ ტკბილეულობითა, შოკოლადითა და კუმპოტებით გაესპინძლებოდნენ და მერე თითონაც გამოვიდა იმათ სანახავად. დარაჯებმა თოფებით სალამი მისცეს და მუზიკა დაუკრეს. მეფემ იმათ წინ გაიარ-გამოიარა. ამის შემდეგ საუზმეზედ დაჰპატიჟა თავისი „ჯარის-კაცები“ და თავისის ხელით ჩაუდგა ტუჩია წამლის საწყობში გამოგზავნით სავსე ყუთები.

## გასართობი

—

ქუთაისში ერთი აქციზის მოხელე დუქნებს ათვალიერებდა და ერთს მიკიტანთან შევიდა.

— ეს დუქანი ვისია?

— ჩემიაო, უპასუხა მიკიტანმა.

— „პატენტი“ ვისია?

— ჩემია.

— შენი გვარი?

— ჩემაა *)

— ბიჭო რა ღმერთი გიწყრება, უკვდავებზედ იმას მეუბნები ჩემია და ჩემიაო, უთხრა გაჯავრებულმა მოხელემ.

**

ორი ფრანგი არტისტი, ფლორენციაში მეფის სასახლის მოედანზედ, ერთმანეთს ეხვდნენ, მაგრამ სასახლის ბრბოში, რომელიც უცქეროდა ჯამბაზს, ერთმანეთი ვერ შენიშნეს. უეცრად ზარი დარეკეს და იტალიელებმა ყველამ მუხლი მოიყარეს. ეს ორი ფრანგი კი ფეხზედ დარჩნენ და ერთმანეთი ადვილად დაინახეს.

**

პატარა გერაშკომ ძალიან კარგად იცოდა ანგარიში. ერთხელ მასწავლებელმა ჰკითხა ხუმრობით:

— რამდენი იქნება ორჯელ ორ-ორი კაპეიკი?

— ხუთი, მიუგო გერაშკომ დაუფიქრებლად.

— როგორ? ჰკითხა გაოცებულმა მასწავლებელმა.

— სულ უბრალოდ: ორჯელ ორი კაპეიკი ოთხი და ერთიც სარგებელი, ხუთი იქნება.

*) ჩემია მეგრული გვარია.

# დეპეშა

20 სექტემბერი

**ვენა.** ამ დღეებში ალექსანდრიას დააპატიმრეს ერთი იტალიელი ანარქისტი, რომელზედაც ეჭვი მიიტანეს, ქედივი უნდა მოეკლაო. ანარქისტს დაპატიმრების დროს უპოვნეს კარგად გალესილი ხანჯალი. ანარქისტი იტალიაში წაიყვანეს.

20,000 კაცმა, სოციალისტების მეთაურობით, გუშინ საღამოთი აქ დემონსტრაცია მოახდინეს დასამტკიცებლად იმისა, რომ საყოველთაო კენჭის ყრის მომხრენი ვართო. მანიფესტანტებმა რინგიშტრასე გაიარეს დეპუტატთა პალატის შენობამდე. თორმეტი კაცი დაპატიმრებულ იქმნა.

პეტერბურგის ბირჟა, 16 აგვისტო.

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,42 | 7,45 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 148¼ | 149 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | 241 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 220½ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | ,, | — ,, | 194 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | — ,, | — ,, | 101½ |
| 5% . . . . . . | — ,, | — , | 100 |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | — ,, | 101½ |
| 5%. . . . . . . | — ,, | — ,, | 100 |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | 99 , | — ,, |


# განცხადებანი

კბილის ექიმი

## ვ. ი. ჭიჭინაძე

(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიაშვილი.

(50—6.—1)

ისყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში: ი. ხეთერელისა და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში ბ. კალანდაძესთან.

განჯაში დ. ქვლივიძესთან.

ახალ-სენაკსა და ოზურგეთში კ. თავართქილაძესთან.

## ქრისტინე

მოთხრობა

ე. ნინოშვილისა

გამოცემული

პ. გოგუაძისა და დ. ქვლივიძის მიერ

ფასი ერთი აბაზი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძველის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პრიტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

გ. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)



ТОВАРИЩЕСТВА „ГИГІЕНА“ ВЪ С.ПЕТЕРБУРГѢ

საპონი ბორნო-გლიცერინისა

საპონი ლანოლინო-გლიცერინისა

პირის კანს და ხელებს არბილებს და ათეთრებს.

ПРОДАЕТСЯ [illegible]
Гл. складъ: С.П.Б. [illegible]
МОСКВА. [illegible]
ВАРШАВА. [illegible]

(9—3—1)

პ. ა. აბაშიძის გამოცემა

გამოვიდა და ისყიდება

## პანთეონი

ქართულის თეატრისა

წიგნი I

შინაარსი:

იკვიანი—ვოდევილი 1 მოქმედ.

ბნელს ოთახში—ვოდ. 1 მოქმ.

ახირებულია—ვოდ. 1 მოქმ.

ფასი 30 კაპ.

(10—მ—8)

## ცხოვრება

შეიდთა ყრმათა ეფესელთა

გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბისა

ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.